საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხოვრების დონის მაჩვენებლები (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)

2022

25.05.2023

ცხოვრების დონის მაჩვენებლები
(შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები)
2022 წელი

შემოსავლები

2022 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების (ფულადი და არაფულადი სახსრების) მოცულობამ 1 596.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17.3 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები 2012-2022 წლებში.

დიაგრამა №1

მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები



25.05.2023

2022 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე 19.0 პროცენტით გაიზარდა და 1 453.8 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 18.6 პროცენტით გაიზარდა და 432.7 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2012-2022 წლებში.

დიაგრამა №2

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, რომლის წილიც 2022 წელს, გასულ წელთან შედარებით, 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 86.9 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით, 2012-2022 წლებში.

დიაგრამა №3

საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი სახსრების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით

(%)



ქვეყნის მოსახლეობის ჯამური საშუალო თვიური შემოსავლები ქალაქის ტიპის დასახლებებში 14.9 პროცენტით გაიზარდა და 967.9 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 21.4 პროცენტით გაიზარდა და 628.1 მილიონი ლარი შეადგინა.

2022 წელს ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში კვლავ მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის წილი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 46.1 პროცენტი შეადგინა. ასევე გაზრდილია თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი 2.2 პროცენტული პუნქტით და 12.4 პროცენტს უტოლდება. პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და სოციალური დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების წილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.6 პროცენტი შეადგინა.

25.05.2023

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2022 წელს.

დიაგრამა №4

ფულადი შემოსავლების და ტრანსფერტების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2022 წელი



ხარჯები

2022 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიურმა ხარჯებმა 1 551.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20.3 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები, 2012-2022 წლებში.

დიაგრამა №5

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე 22.0 პროცენტით გაიზარდა და 1 413.6 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 21.7 პროცენტით გაიზარდა და 420.7 ლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე, 2012-2022 წლებში.

დიაგრამა №6

საშუალო თვიური ხარჯები
ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე



2022 წელს, წინა წელთან შედარებით შინამეურნეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში გაიზარდა 1.4 პროცენტული პუნქტით და 71.5 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით, 2012-2022 წლებში.

დიაგრამა №7

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ძირითადი კატეგორიების მიხედვით
(%)



ქვეყნის მოსახლეობის ჯამური ხარჯები ქალაქის ტიპის დასახლებებში 19.2 პროცენტით გაიზარდა და 951.5 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 22.2 პროცენტით გაიზარდა და 600.4 მილიონი ლარი შეადგინა.

2022 წლის მონაცემებით, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში კვლავ ყველაზე დიდი წილი სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე გაწეულ ხარჯებს უჭირავს და 41.8 პროცენტს შეადგენს, რაც 1.9 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამომხმარებლო ფულადი ხარჯების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2022 წელს.

25.05.2023

დიაგრამა №8

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების კატეგორიების პროცენტული განაწილება, 2022 წელი



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge